დამტკიცებულია შპს ფორმულას დირექტორის,
2019 წლის 27 სექტემბრის
ბრძანების #Formula00-002 (27/09) საფუძველზე

შპს “ფორმულას” თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის



დებულება

სარჩევი

თავი I 3

ზოგადი დებულებები 3

მუხლი 1. შესავალი 3

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 3

თავი II 3

საჩივრის განმხილველი ორგანო 3

მუხლი 3. საჩივრის განმხილველი ორგანო 3

მუხლი 4. საჩივრის წარდგენა 4

მუხლი 5. საჩივრის განხილვის ვადები და პროცედურები 5

თავი III 6

კომისიის გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრება 6

მუხლი 6 6

მუხლი 7. მაუწყებლის მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება 6

თავი IV 6

სააპელაციო კომისია/ სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადები/ გადაწყვეტილება 6

მუხლი 8. სააპელაციო კომისია 6

თავი V 7

დასკვნითი დებულებები 7

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შესავალი

1.1. შპს ფორმულა წარმოადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებულ პირს.

1.2. წინამდებარე დებულება შემუშავებულია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე და განსაზღვრავს თვითრეგულირების ეფექტიან მექანიზმს, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

1.3. ტელეკომპანია ფორმულამ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მაუწყებელი / ტელეკომპანია - შპს ფორმულა;

ბ) თვითრეგულირების სააპელაციო ორგანო - მაუწყებლის მიერ შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმის მეორე ინსტანცია - "სააპელაციო საბჭო";

გ) დაინტერესებული პირი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა;

თავი II

საჩივრის განმხილველი ორგანო

მუხლი 3. საჩივრის განმხილველი ორგანო

3.1. საჩივრის განმხილველ ორგანოს წარმოადგენს შპს ფორმულას დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დავის განმხილველი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის:

ა) კომისიის თავჯდომარე;
ბ) კომისიის წევრები;
3.2. კომისიის თავჯდომარეს ირჩევს და მისი უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა ხდება კომისიის წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
3.3. კომისიის თავჯდომარე:
3.3.1. ანაწილებს კომისიის წევრებს შორის ფუნქციებს;
3.3.2. ხელმძღვანელობს კომისიის სხდომას და განსაზღვრავს კომისიის მუშაობის რეჟიმს;
3.4. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3.5. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.
3.6. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის დამსწრე წევრები და თავჯდომარე. თუ კომისიის დამსწრე წევრს აქვს განსხვავებული აზრი, იგი დაერთვება სხდომის ოქმს, სადაც გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნა.
3.7. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხები, რომელთა განხილვაც "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე განეკუთვნება თვითრეგულირების მექნიზმის ფარგლებში განსახილველ საკითხებს.

მუხლი 4. საჩივრის წარდგენა

4.1. დაინტერესებულმა პირმა საჩივარი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით.
4.2. წერილობითი საჩივარი უნდა შეიცავდეს:
ა) საჩივრის ავტორის სახელს და გვარს, საცხოვრებელ მისამართს, პირად ნომერს, დაბადების დღეს/თვეს/წელს, და საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდებას, სამართლებრივ ფორმას, ინფორმაციას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ; საიდენტიფიკაციო კოდს; იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს; იურიდიული პირის შემთხვევაში თანდართული უნდა ქონდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი;
გ) თუ საჩივარი შეაქვს დაინტერესებულ პირს, წარმომადგენლობა დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიულად;
დ) იმ შემთხვევაში თუ საჩივარი არასახელმწიფო ენაზეა შედგენილი თან უნდა ერთვოდეს საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.
4.3. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივარი შეეხება ,,მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის'' 52-ე მუხლით განსაზღვრული შესწორების ან უარყოფის უფლების რეალიზებას, დაინტერესებულმა პირმა მაუწყებელს უნდა

მიმართოს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. საჩივრის განხილვის ვადები და პროცედურები

5.1. თვითრეგულირების ორგანოში საჩივრის წარდგენის დღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში კომისია ამოწმებს საჩივრის შესაბამისობას ამ დებულების მე4 მუხლის შესაბამისად. თუ საჩივარი წარმოდგენილია ამ დებულების დარღვევით, კომისია უკან უბრუნებს საჩივრის ავტორს და განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად.

5.2. თუ დადგენილ ვადაში არ მოხდება ხარვეზის გამოსწორება კომისია იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

5.3. საჩივრები განიხილება დროულად, გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

5.4. იმ შემთხვევაში თუ დამსწრე დაარღვევს სხდომაზე წესრიგს, კომისიის თავჯდომარეს უფლება აქვს ასეთ პირს დაატოვებინოს სხდომა.

5.5. თუ პირი სხდომაზე არ გამოცხადდა, კომისიას ღია კენჭისყრის საფუძველზე უფლება აქვს დავა განიხილოს გამოუცხადებელი პირის გარეშე.

5.6. დაინტერესებული პირისათვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მის მიერ მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო წერილის გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით.

5.7. როგორც კომისიის თავჯდომარეს, ისე წევრებს აქვთ შეკითხვის დასმის უფლება და მტკიცებულებების გამოკვლევის უფლება.

5.8. დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტების გაკეთების შემდეგ იმართება კომისიის თათბირი, მხარეთა მონაწილეობის გარეშე, რის შემდეგაც კომისია აცხადებს გადაწყვეტილებას.

5.9. კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს მხარეს მიღებული წერილობითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება დაზღვეული საფოსტო გზავნილით გადაწყვეტილების გაგზავნისას ან პირადად ჩაბარებისას.

5.10. სხდომა შეიძლება გადაიდოს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან კომისიის გადაწყვეტილებით კომისიის მიერ განსაზღვრული ვადით.

5.11. სხდომა საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის დასაბუთებული მოთხოვნით არსებობს სხდომის დახურვის საჭიროება.

თავი III

კომისიის გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრება

მუხლი 6

6.1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:
6.1.1. საჩივრის დაკმაყოფილება;
6.1.2. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება;
6.1.3. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;
6.2. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება:
6.2.1. საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა;
6.2.2. საჩივრის განხილვაში მონაწილე კომისიის წევრების ვინაობა;
6.2.3. საჩივრის განხილვის დრო და ადგილი;
6.2.4. საჩივრის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი არგუმენტაცია;
6.2.5. საჩივრის სააპელაციო ორგანოში გასაჩივრების წესი და ვადა.

მუხლი 7. მაუწყებლის მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

7.1. საჩივრის თაობაზე მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელიც ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მაუწყებელს.

თავი IV

სააპელაციო კომისია/ სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადები/ გადაწყვეტილება

მუხლი 8. სააპელაციო კომისია

8.1. სააპელაციო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს მაუწყებლის გადაწყვეტილება საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო მაუწყებლის გადაწყვეტილება დასაბუთებული.

8.2. სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, არ უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში.

8.3. სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.

8.4 დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სააპელაციო ორგანოს წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადაწყვეტილება სააპელაციო ორგანოს წევრის აცილების შესახებ მიიღება სააპელაციო ორგანოს მიერ ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8.5. სააპელაციო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა, სააპელაციო ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.
8.6. სააპელაციო საჩივრის განხილვაზე მოქმედებს ამ კოდექსით გათვალისწინებული წესები.

8.7. სააპელაციო საჩივრის განხილვის დრო და ადგილი გონივრული ვადით ადრე წერილობით ეცნობება მხარეს. დაინტერესებული პირისათვის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ მისამართზე დაზღვეული საფოსტო გზავნილის ჩაბარებით ან პირადად ჩაბარებით.

8.8. სააპელაციო სასამართლო იღებს რომელიმე ერთ გადაწყვეტილებას:
ა) სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
ბ) სააპელაციო საჩვრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
გ) სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;
8.9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება:
ა) სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა; გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი; საჩივრის განმხილველი პირების ვინაობა
ბ) სააპელაციო კომისიის მიერ დადგენილი მტკიცებულებები და გარემოებები, რომლის საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

თავი V

დასკვნითი დებულებები

დებულებაში ნებისმიერი ცვლილება დასაშვებია შპს ფორმულას დირექტორის ბრძანების საფუძველზე.